შპს “კავკასუს როუდ პროჯექტი” და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა 9
2. მომზადების საფუძვლები 9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები....10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 17
5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში....18
6. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება....19
7. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება 19
8. საოპერაციო ხარჯები 23
9. ფინანსური შემოსავალი....23
10. ფინანსური ხარჯი....23
11. ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება....23
12. გაცვლითი კურსის ეფექტი 23
13. ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან....24
14. არასაოპერაციო ხარჯები 25
15. ძირითადი საშუალებები 25
16. გაცემული სესხები 26
17. დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები....26
18. სასაქონლო მატერიალური მარაგები 26
19. გადახდილი ავანსები 26
20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 26
21. ფული და ფულის ექვივალენტი 27
22. შეზღუდული ფული 27
23. საწესდებო კაპიტალი 27
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....27
25. მიღებული ავანსები....28
26. მოგების გადასახადი 28
27. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები 28
28. ფინანსური რისკის მართვა 29
29. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....32
30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "კავკასუს როუდ პროჯექტის" მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის" და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი"* აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით ინვენტარიზაციის პროცესს წლის დასაწყისში და ვერ დავრწმუნდით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების ოდენობაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა არსებითად შეუსაბამო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან თუ აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფსიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

31 ივლისი, 2019

Nexia TA

Member of Nexia International

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "კავკასუს როუდ პროჯექტის" მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის" და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი"* აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით ინვენტარიზაციის პროცესს წლის დასაწყისში და ვერ დავრწმუნდით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების ოდენობაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა არსებითად შეუსაბამო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან თუ აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

12, Aleksidze str. | King David Business Center | Tbilisi 0171 Georgia | ალექსიძის ქ.12 | ბიზნეს ცენტრი კინგ დევიდი | თბილისი 0171 საქართველო | T: +995 32 25 606 25 | info@nexia.ge | www.nexia.ge

Nexia TA

Member of Nexia International

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

31 ივლისი, 2019

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	7	36,909	21,035
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(29,631)	(16,512)
საერთო მოგება		**7,278**	**4,523**
საოპერაციო ხარჯები	8	(3,369)	(2,150)
საოპერაციო მოგება		**3,909**	**2,373**
ფინანსური შემოსავალი	9	116	108
ფინანსური ხარჯი	10	(321)	(2)
შვილობილის გაყიდვის შედეგად მიღებული ზარალი	13	(127)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	11	150	160
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	12	28	197
არასაოპერაციო შემოსავალები		57	214
არასაოპერაციო ხარჯები	14	(319)	(265)
მოგება დაბეგვრამდე, განგრძობითი ოპერაციებიდან		**3,493**	**2,785**
მოგების გადასახადი	26	-	-
წლის წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**3,493**	**2,785**
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	13	56	-
წლის მოგება		**3,549**	**2,785**
სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
სხვა სრული ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(51)	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,498**	**2,785**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე **ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია**

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	7	36,909	21,035
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(29,631)	(16,512)
საერთო მოგება		**7,278**	**4,523**
საოპერაციო ხარჯები	8	(3,369)	(2,150)
საოპერაციო მოგება		**3,909**	**2,373**
ფინანსური შემოსავალი	9	116	108
ფინანსური ხარჯი	10	(321)	(2)
შვილობილის გაყიდვის შედეგად მიღებული ზარალი	13	(127)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	11	150	160
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	12	28	197
არასაოპერაციო შემოსავალები		57	214
არასაოპერაციო ხარჯები	14	(319)	(265)
მოგება დაბეგვრამდე, განგრძობითი ოპერაციებიდან		**3,493**	**2,785**
მოგების გადასახადი	26	-	-
წლის წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**3,493**	**2,785**
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	13	56	-
წლის მოგება		**3,549**	**2,785**
სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
სხვა სრული ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(51)	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,498**	**2,785**

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ 202258243 Caucasus Road Project LLC

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე

ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	4,581	5,776
არამატერიალური აქტივები		18	53
დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	17	307	693
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,906**	**6,522**
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხი	16	6,242	-
დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	17	800	1,725
მარაგები	18	1,242	1,642
გადახდილი ავანსები	19	946	688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	260	1,031
წმინდა საგადასახადო აქტივი		604	856
შეზღუდული ფული	22	4,647	9,327
ფული და ფულის ექვივალენტები	21	3,237	855
სულ მოკლევადიანი აქტივები		**17,978**	**16,124**
სულ აქტივები		**22,884**	**22,646**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	23	2	2
გაუნაწილებელი მოგება		14,259	11,070
სულ კაპიტალი		**14,261**	**11,072**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	774	608
მიღებული ავანსები	25	4,640	4,378
ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ	7	3,209	6,588
სულ ვალდებულებები		**8,623**	**11,574**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**22,884**	**22,646**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე **ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია**

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	4,581	5,776
არამატერიალური აქტივები		18	53
დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	17	307	693
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,906**	**6,522**
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხი	16	6,242	-
დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	17	800	1,725
მარაგები	18	1,242	1,642
გადახდილი ავანსები	19	946	688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	260	1,031
წმინდა საგადასახადო აქტივი		604	856
შეზღუდული ფული	22	4,647	9,327
ფული და ფულის ექვივალენტები	21	3,237	855
სულ მოკლევადიანი აქტივები		**17,978**	**16,124**
სულ აქტივები		**22,884**	**22,646**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	23	2	2
გაუნაწილებელი მოგება		14,259	11,070
სულ კაპიტალი		**14,261**	**11,072**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	774	608
მიღებული ავანსები	25	4,640	4,378
ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ	7	3,209	6,588
სულ ვალდებულებები		**8,623**	**11,574**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**22,884**	**22,646**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე | **ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია**

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016		**2**	**10,977**	**10,979**
წლის სრული შემოსავალი		-	2,758	**2,758**
გადახდილი დივიდენდი		-	(902)	**(902)**
კაპიტალის შემცირება		-	(1,847)	**(1,847)**
31 დეკემბერი, 2017	**23**	**2**	**10,986**	**10,988**
წლის სრული შემოსავალი		-	3,582	**3,582**
გადახდილი დივიდენდი		-	(309)	**(309)**
31 დეკემბერი, 2018	**23**	**2**	**14,259**	**14,261**

დადასტურებული და ხელმოწერილი 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე

ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია

შენიშვნები 9-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ და მისი შვილობილი კომპანიები
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 23)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016		**2**	**11,034**	**11,036**
წლის მოგება		-	2,785	**2,785**
გადახდილი დივიდენდი	23	-	(902)	**(902)**
კაპიტალის შემცირება	23	-	(1,847)	**(1,847)**
31 დეკემბერი, 2017		**2**	**11,070**	**11,072**
წლის მოგება		-	3,498	**3,498**
გადახდილი დივიდენდი	23	-	(309)	**(309)**
31 დეკემბერი, 2018		**2**	**14,259**	**14,261**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე | **ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია**

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,493	2,785
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	15	1,165	1,106
საპროცენტო შემოსავალი	9	(116)	(108)
საპროცენტო ხარჯი	10	321	-
გაუფასურების ხარჯი	8	485	-
მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	12	(28)	(197)
ზარალი შვილობილის რეალიზაციიდან	13	127	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	11	(150)	(160)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე:		**5,297**	**3,426**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		310	(1,026)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,057)	(67)
შემცირება / (ზრდა) დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიებში		1,311	(799)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		255	(856)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(258)	(81)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, ავანსების ჩათვლით		508	330
(შემცირება) / ზრდა საკონტრაქტო ვალდებულებებში		(3,379)	6,239
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		-	(217)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე		**987**	**7,201**
მიღებული პროცენტი		80	108
გადახდილი პროცენტი		(321)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	26	-	(320)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან: განგრძობითი ოპერაციები		**746**	**6,989**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან: შეწყვეტილი ოპერაციები		(9)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**737**	**6,989**
საინვესტიციო საქმიანობა			
სესხის გაცემა	16	(2,780)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	15	(125)	(1,417)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(25)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	11	186	138
შემოსავალი ინვესტიციების რეალიზაციიდან	13	60	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(2,684)**	**(1,279)**
საფინანსო საქმიანობა			
საბანკო სესხის დაფარვა		(7,756)	-
საბანკო სესხის აღება		7,725	-
დივიდენდების გადახდა	23	(309)	(902)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**(340)**	**(902)**
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების (შემცირება) / ზრდა		**(2,287)**	**4,808**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	12	(11)	232
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში *	21, 22	10,182	5,142
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს *	**21, 22**	**7,884**	**10,182**

* შეზღუდული ფულის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 4,647 ლარს (2017: 9,327 ლარი). იხილეთ შენიშვნა 22.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე **ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია**

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,493	2,785
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	15	1,165	1,106
საპროცენტო შემოსავალი	9	(116)	(108)
საპროცენტო ხარჯი	10	321	-
გაუფასურების ხარჯი	8	485	-
მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	12	(28)	(197)
ზარალი შვილობილის რეალიზაციიდან	13	127	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	11	(150)	(160)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე:		**5,297**	**3,426**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		310	(1,026)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,057)	(67)
შემცირება / (ზრდა) დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიებში		1,311	(799)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		255	(856)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(258)	(81)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, ავანსების ჩათვლით		508	330
(შემცირება) / ზრდა საკონტრაქტო ვალდებულებებში		(3,379)	6,239
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		-	(217)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე		**987**	**7,201**
მიღებული პროცენტი		80	108
გადახდილი პროცენტი		(321)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	26	-	(320)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან: განგრძობითი ოპერაციები		**746**	**6,989**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან: შეწყვეტილი ოპერაციები		(9)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**737**	**6,989**
საინვესტიციო საქმიანობა			
სესხის გაცემა	16	(2,780)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	15	(125)	(1,417)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(25)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	11	186	138
შემოსავალი ინვესტიციების რეალიზაციიდან	13	60	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(2,684)**	**(1,279)**
საფინანსო საქმიანობა			
საბანკო სესხის დაფარვა		(7,756)	-
საბანკო სესხის აღება		7,725	-
დივიდენდების გადახდა	23	(309)	(902)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**(340)**	**(902)**
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების (შემცირება) / ზრდა		**(2,287)**	**4,808**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	12	(11)	232
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში *	21, 22	10,182	5,142
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს *	**21, 22**	**7,884**	**10,182**

* შეზღუდული ფულის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 4,647 ლარს (2017: 9,327 ლარი). იხილეთ შენიშვნა 22.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2019 წლის 31 ივლისს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - პაატა ტრაპაიძე

ფინანსური მენეჯერი - ნათია წიფურია

9-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ 202258243 Caucasus Road Project

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“) დაარსდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მშობელი კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს კოტე აფხაზის 44, თბილისი, საქართველო.

მშობელი კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიებს (შემდგომში ერთად „ჯგუფი“), როგორც ეს განმარტებულია შენიშვნა 2.2-ში ქვემოთ.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას შეადგენს გზების, ხიდების, გვირაბებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი არის პაატა ტრაპაიძე.

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში, რომელსაც გააჩნია ზრდადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, როგორიცაა: ისეთი ვალუტის არსებობა, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების განვითარების საჭიროებითა და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვები საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კონმპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფში შეიოდა შემდეგი კომპანიები:

შვილობილი და მეკავშირე	საქმიანობის სფერო	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ღირ. -ბა	შესყიდვის / დაარსების თარიღი
შპს ინტერნეშნელ ტიმბერ პროდუსინგ კომპანი	ხის მასალის დამუშავება	100%	საქართველო	შვილობილი	100	31 დეკემბერი 2002
შპს იბერია ფილმი	ფილმის გადაღება	51%	საქართველო	შვილობილი	-	3 ნოემბერი 2011
შპს სიარპი ჰიდროსერვის ინჟინერი	მშენებლობა	40%	საქართველო	მეკავშირე	-	13 იანვარი 2016

2018 წლის 15 ივნისს ჯგუფმა გაყიდა მისი კუთვნილი წილი შპს ინტერენიშენალ ტიმბერ პროდუსინგ კომპანიში 60 ათას ლარად და 2018 წლის 23 ოქტომბერს კუთვნილი წილი შპს იბერია ფილმში 0.5 ათას ლარად;
შპს სიარპი-ჰიდროსერვის-ინჟინერის რეგისტრაციის გაუქმება მოხდა 2018 წლის 26 ოქტომბერს.

2.3 ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდასთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო / ლარი	3.0701	3.1044

საშუალო გაცვლითი კურსი	2018	2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.5345	2.5086
1 ევრო / ლარი	2.9913	2.8322

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფს არ დაუნერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39-ს „ფინანსური ინსტურმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია არსებითი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს.

სტანდარტის დანერგვის შედეგად ჯგუფის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არსებითად არ შეცვლილა.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფში შემავალი კონაპიებისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი;
  (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშგება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

დეტალები ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 28-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

3. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ივალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლებეა მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხვება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფის წილი შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი კომპანიის მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

მეკავშირე არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმღები კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ არ წარმოადგენს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები შედის ფულად საშუალებებში ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი. დამატებითი ინფორმაცია იხ. შენიშვნა 22.

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივები და სახელშეკრულებო ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი და განისაზღვრება კონტრაქტის დონეზე. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები თითოეული შესრულების ვალდებულებაზე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია ნეტო სახით.

ვალდებულებები აღირცხული პროდუქციის დაბრუნების და მოცულობითი ფასდაკლებებით არ აკლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ან აქტივებს, რამდენადაც ისინი აწრმოადგენენ ცალკე მოლოდინს (მაგ. ნაღდი ფულის გადახდის მოლოდინი, შესრულების მოლოდინის საპირისპიროდ).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამის მსგავსად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებული ხარჯები არ უნდა გაერთიანდეს სახელშეკრულებო აქტივებთან. ხელშეკრლების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებლი ზღვრული ხარჯები წარმოდგენილია, როგორც ცალკეული აქტივი და კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივი, თუ საწყისი საამორტიზაციო პერიოდი არ არის ერთ წელზე ნაკლები. ზოგადად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული და დაკაპიტალიზირებული ხარჯების ამორტიზაცია წარმოდგენილია, როგორც გაყიდვების ხარჯი, მოგება-ზარალის ზოგად და ადმინისტრაციული ნაწილში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის მიხედვით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობები	20
მანქანა დანადგარები	2-15
აღჭურვილობა	2-10
მიმდინარე მშენებლობა	არ იცვითება

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდებაე კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

როგორც ეს ზემოთ შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფმა მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკრგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 20-ში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული, მოცემულია ქვემოთ. „ჯგუფი“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17 - ლიზინგი, ფასიკ 4 - განსაზღვრა შეიცავს თუ არა გარიგება ლიზინგს, იმკ 15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ 27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

ფასს 16 სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. ლიზინგის დაწყვებიდან, მოიჯარე აღიარებს სალიზინგო გადახდების შესაბამის ვალდებულებას (ე.წ. სალიზინგო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის ლიზინგის პერიოდის განმავლობაში გამოყენების უფლებას (ე.წ. გამოყენების უფლების მქონე აქტივი).

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო სრული ინფორმაციის გამჟღავნებას, ვიდრე ამას მოითხოვდა ბასს 17. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფს შეუძლია აირჩიოს, რომ გადავიდეს სტანდარტზე სრული რეტროსპექტიული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით. მენეჯმენტი განიხილავს ფასს 16-ის მიღების ეფექტს და არ მოელის, რომ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარშგებებზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „სავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით “

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ

ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება

კლასიფიკაციის ცვლილებას დაექვემდებარა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, რათა უკეთესად მომხდარიყო სწორი პრეზენტაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 31-დეკ-17	**წინა ანგარიშგების მიხედვით**	**მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია**	**რეკლასიფიცირებული**
გრძელვადიანი დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	-	693	693
მოკლევადიანი დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	-	1,725	1,725
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,449	(2,418)	1,031
მიღებული ავანსები	10,966	(6,588)	4,378
ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ	-	6,588	6,588

7. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება

მთლიანი შემოსავალი და ხარჯი	**2018**	**2017**
	36,909	**21,035**
შემოსავალი მშნებლობიდან *	36,287	19,935
მანქანა დანადგარების სერვისი	200	226
მარაგების რეალიზაცია	124	132
საიჯარო შემოსავალი	28	180
მანქანა დანადგარების იჯარა	37	2
სხვა შემოსავალი	233	560
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**(29,631)**	**(16,512)**
მესამე პირის მომსახურეობა	(11,282)	(5,953)
გამოყენებული მასალები	(10,574)	(5,194)
ხელფასი	(4,339)	(2,782)
ქირა	(2,223)	(1,455)
ცვეთა	(1,128)	(1,052)
სხვა ხარჯები	(85)	(76)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**7,278**	**4,523**

** სამშენებლო შემოსავლებზე და ხარჯებზე პროექტების მიხედვით, ასევე შესაბამის სახელშეკრულებო მოთხოვნებზე / ვალდებულებებზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში.*

7. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება (გაგრძელება)

2018 წლის შემოსავლები და ხარჯები პროექტების მიხედვით

	პროექტი #1	პროექტი #2	პროექტი #3	პროექტი #4	პროექტი #5	პროექტი #9	პროექტი #10	*სულ*
შემოსავლები								
2017 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	-	12,389	1,978	2,830	-	-	-	***17,197***
2018 წლის შემოსავალი	**12,002**	**10,355**	**4,474**	**4,798**	**44**	**2,539**	**2,075**	***36,287***
2018 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	12,002	22,744	6,452	7,628	44	2,539	2,075	***53,484***
ხარჯები								
2017 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	136	6,982	-	2,594	10	-	-	***9,722***
2018 წლის ხარჯი	**10,957**	**7,105**	**5,036**	**2,177**	**13**	**2,610**	**1,645**	***29,543***
2018 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	11,093	14,087	5,036	4,771	23	2,610	1,645	***39,265***

2017 წლის შემოსავლები და ხარჯები პროექტების მიხედვით

	პროექტი #1	პროექტი #2	პროექტი #3	პროექტი #4	პროექტი #5	პროექტი #6	პროექტი #7	პროექტი #8	*სულ*
შემოსავლები									
2016 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	-	-	-	2,385	-	-	7,356	-	***9,741***
2017 წლის შემოსავალი	**-**	**12,389**	**1,978**	**444**	**-**	**2,689**	**1,328**	***1,107***	***19,935***
2017 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	-	12,389	1,978	2,829	-	2,689	8,684	***1,107***	***29,676***
ხარჯები									
2016 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	-	-	-	1,864	-	-	5,302	-	***7,166***
2017 წლის ხარჯი	**136**	**8,101**	**1,855**	**770**	**10**	**2,588**	**1,206**	***1,082***	***15,748***
2017 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	136	8,101	1,855	2,634	10	2,588	6,508	***1,082***	***22,914***

7. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება (გაგრძელება)

მოთხოვნები / ვალდებულებები პროექტების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	პროექტი #1	პროექტი #2	პროექტი #3	პროექტი #4	პროექტი #5	პროექტი #9	პროექტი #10	*სულ*
2018 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	12,002	22,744	6,452	7,628	44	2,539	2,075	***53,484***
2018 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	(11,093)	(14,087)	(5,036)	(4,771)	(24)	(2,610)	(1,645)	***(39,266)***
აღიარებული მოგება / (ზარალი)	909	8,657	1,416	2,857	20	(71)	430	***14,218***
ხელშეკრულების მიხედვით გადახდები	12,002	22,647	6,197	7,628	44	4,797	2,341	***55,656***
სახელშეკრულებო აქტივი	-	115	301	-	-	-	231	***647***
სახელშეკრულებო ვალდებულება	-	-	-	-	-	(2,664)	(545)	***(3,209)***
პროექტის დასრულების სტადია	100%	100%	96%	19%	100%	22%	64%	

მოთხოვნები / ვალდებულებები პროექტების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	პროექტი #1	პროექტი #2	პროექტი #3	პროექტი #4	პროექტი #5	პროექტი #6	პროექტი #7	პროექტი #8	*სულ*
2017 წლის ჩათვლით აღიარებული შემოსავალი	-	12,389	1,978	2,830	-	2,689	8,684	1,107	***29,677***
2017 წლის ჩათვლით აღიარებული ხარჯი	(136)	(8,101)	(1,855)	(2,634)	(10)	(2,588)	(6,508)	(1,082)	***(22,914)***
აღიარებული მოგება / (ზარალი)	(136)	4,288	123	196	(10)	101	2,176	25	***6,763***
ხელშეკრულების მიხედვით გადახდები	4,237	13,350	1,531	2,521	17	2,689	8,491	1,107	***33,943***
სახელშეკრულებო აქტივი	-	-	962	364	-	-	228	-	***1,554***
სახელშეკრულებო ვალდებულება	(5,000)	(1,133)	(435)	-	(20)	-	-	-	***(6,588)***
პროექტის დასრულების სტადია	1%	63%	22%	2%	0%	23%	100%	72%	

8. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2018	2017
ხელფასი	1,550	875
რემონტი	810	728
გაუფასურების რეზერვი	485	-
მივლინება	197	195
კომუნალურები	98	71
სხვა საგადასახადო ხარჯი, მოგების გარდა	60	75
ცვეთა და ამორტიზაცია	38	49
ბანკის საკომისიო	27	15
სხვა ხარჯები	104	142
სულ საოპერაციო ხარჯები	**3,369**	**2,150**

9. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი	2018	2017
პროცენტი დეპოზიტებიდან	80	108
პროცენტი გაცემული სესხებიდან	36	-
სულ ფინანსური შემოსავალი	**116**	**108**

10. ფინანსური ხარჯი

2018 წლის ფინანსური ხარჯი შედგებოდა მოკლევადიან სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯით, რომელმაც შეადგინა 321 ათასი ლარი (2017: 2 ათასი ლარი).

11. ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება

2018 წელს რეალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება იყო 1,059 ათასი ლარი (2017: 244 ათასი ლარი), 38 ათასი ლარის (2017: 123 ათასი ლარი) წმინდა საბალანსო ღირებულებით. შემოსავალმა ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან შეადგინა 188 ათასი ლარი (2017: 283 ათასი ლარი), შედეგად ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ შეადგინა 150 ათასი ლარი (2017: 160 ათასი ლარი).

12. გაცვლითი კურსის ეფექტი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	ნეტო
ფული და ფულის ექვივალენტები	135	(146)	**(11)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	172	(62)	**110**
გაცემული სესხი	-	(8)	**(8)**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	(44)	**(32)**
აღებული სესხი	-	(31)	**(31)**
სულ კურსთა შორის სხვაობის წმინდა ეფექტი	**319**	**(291)**	**28**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	ნეტო
ფული და ფულის ექვივალენტები	518	(286)	**232**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	-	**5**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37	(76)	**(39)**
ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ	-	(1)	**(1)**
სულ კურსთა შორის სხვაობის წმინდა ეფექტი	**560**	**(363)**	**197**

13. ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან

2018 წლის 15 ივნისს მშობელმა კომპანიამ გაყიდა მისი შვილობილი კომპანია - შპს „ინტერნეიშენალ ტიმბერ პროდიუსინგ კომპანი“ და გადასცა კონტროლი ახალ მფლობელს 60 ათას ლარად.
2018 წლის 23 ოქტომბერს მშობელმა კომპანიამ გაყიდა მეორე შვილობილი კომპანია - შპს „იბერია ფილმი“ 0.5 ათას ლარად. შპს „ინტერნეიშენალ ტიმბერ პროდიუსინგ კომპანი“-ზე კონტროლის დაკარგვის მომენტისთვის, მისმა ნეტო აქტივებმა შეადგინა 227 ათასი ლარი, ხოლო მშობელი კომპანიის მიერ მიღებულმა საზღაურმა 100 ათასი ლარი, შესაბამისად 127 ათასი ლარი აღიარდა როგორც ზარალი შვილობილში კონტროლის დაკარგვიდან.
რეკონსილაცია და ტრანზაქციის მოკლე ფინანსური მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ:

ინფორმაცია შვილობილი კომპანიის რეალიზაციაზე	**ლარი**
მიღებული საზღაური	100
მინუს: წმინდა აქტივები კონტროლის დაკარგვამდე	227
ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან, დაბეგვრამდე	**(127)**
მოგების გადასხადი	-
ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან	**(127)**

შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილ კომპანიაზე მოცემულია ქვემოთ:

	2018	**2017** **არააუდირებული**
შემოსავლები	224	519
ხარჯები	(168)	(495)
მოგება დაბეგვრამდე	**56**	**24**
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება შვილობილის სანამ მოხდებოდა კონტროლის დაკარგვა	**56**	**24**
ზარალი შვილობილში კონტროლის დაკარგვიდან	(127)	-
წმინდა მოგება / (ზარალი) შვილობილ კომპანიაში კონტროლის დაკარგვამდე	**(71)**	**24**

		31-დეკ-17
კონტროლის დაკარგვის მდგომარეობით შვილობილის აქტივები და ვალდებულებები:	**კონტროლის დაკარგვის მდგომარეობით**	**არააუდირებული**
ძირითადი საშუალებები	122	124
არამატერიალური აქტივები	54	53
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	187	150
სასაქონლო მატერიალური მარაგები	132	90
ფული და ფულის ექვივალენტები	3	10
სხვა აქტივები	-	(2)
სულ აქტივები	**498**	**425**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	251	241
ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ	20	-
სულ ვალდებულებები	**271**	**241**
წმინდა აქტივები	**227**	**666**
მიღებული ან მისაღები საზღაური:	100	-
ზარალი შვილობილში კონტროლის დაკარგვიდან, დაბეგვრამდე	**127**	**-**

14. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები ძირითადად შედგება გარანტიის და ტენდერებში მონაწილეობის საკომისიოებისგან.

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	აღჭურვილობა	მიმდინარე მშენებლობა	სულ ჯამი
ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016	**1,474**	**639**	**15,193**	**326**	**598**	**18,230**
შეძენა	100	8	1,135	174	-	**1,417**
ჩამოწერა	(1,102)	-	(244)	-	(598)	**(1,944)**
31 დეკემბერი, 2017	**472**	**647**	**16,084**	**500**	**-**	**17,703**
შეძენა	-	-	70	57	-	**127**
ჩამოწერა	-	-	(1,090)	(7)	-	**(1,097)**
შვილობილი საწარმოს გაყიდვის შედეგი	-	(35)	(108)	(5)	-	**(148)**
31 დეკემბერი, 2018	**472**	**612**	**14,956**	**545**	**-**	**16,585**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2016	**-**	**(93)**	**(10,662)**	**(201)**	**-**	**(10,956)**
ცვეთის ხარჯი	-	(32)	(1,025)	(35)	-	**(1,092)**
ჩამოწერა	-	-	121	-	-	**121**
31 დეკემბერი, 2017	**-**	**(125)**	**(11,566)**	**(236)**	**-**	**(11,927)**
ცვეთის ხარჯი	-	(31)	(1,075)	(53)	-	**(1,159)**
ჩამოწერა	-	-	1,054	5	-	**1,059**
შვილობილი საწარმოს გაყიდვის შედეგი	-	3	18	2	-	**23**
31 დეკემბერი, 2018	**-**	**(153)**	**(11,569)**	**(282)**	**-**	**(12,004)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016	**1,474**	**546**	**4,531**	**125**	**598**	**7,274**
31 დეკემბერი, 2017	**472**	**522**	**4,518**	**264**	**-**	**5,776**
31 დეკემბერი, 2018	**472**	**459**	**3,387**	**263**	**-**	**4,581**

სრულად გაცვეთილი, მაგრამ კვლავ გამოყენებაში არსებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,696 ათას ლარს (2017: 4,854 ათასი ლარი).

შენობების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის ცვეთის ხარჯი შედის რეალიზაციის თვითღირებულებაში.

16. გაცემული სესხები

2018 წლის 5 დეკემბერს ჯგუფმა გასცა 2,366 ათასი აშშ დოლარის მოცულობის (6,334 ათასი ლარი) სესხი შპს ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიაზე, საიდანაც 1,037 ათასი აშშ დოლარი (2,766 ათასი ლარი) გადახდილ იქნა ნაღდი ფულის სახით, ხოლო 1,329 ათასი აშშ დოლარი (3,562 ათასი ლარი) კონვერტირებულ იქნა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთიდან. სესხის პირობები იყო შემდეგი: წლიური საპროცენტო განაკვეთი 7.6% და ვადა 1 წელი, 2019 წლის 5 დეკემბრის ხანდაზმულობით. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი შეადგენდა 36 ათას ლარს (2017 წელი: ნული).

გაცემული სესხების გაუფასურება 2018 წელს შეადგენდა 128 ლარს. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით და ასევე იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სესხის საკრედიტო რისკის დამაკმაყოფილებლად შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუფასურების განაკვეთად განისაზღვრა 2%.

17. დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები

დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები არის კლიენტის მიერ გარანტიის სახით დაკავებული სავაჭრო მოთხოვნები, საშუალოდ მშენებლობის დასრულებიდან 1-2 წლის ვადით და შეიცავს სახელშეკრულებო აქტივებს 647 ათასი ლარის ოდენობით (2017: 1,554 ათასი ლარი).

18. მარაგები

მარაგები	31-დეკ-18	31-დეკ-17
ნედლეული	1,177	1,449
მზა პროდუქცია	65	46
დაუმთავრებელი წარმოება	-	147
სულ მარაგები	**1,242**	**1,642**

2018 წელს 10,574 ათასი ლარი (2017: 5,194 ათასი ლარი) აღიარდა ხარჯად. ეს ხარჯი დაკლასიფიცირდა როგორც რეალიზაციის თვითღირებულება.

19. გადახდილი ავანსები

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადახდილი ავანსები შეადგენს 946 და 688 ათას ლარს შესაბამისად, რომელიც ძირითადად შედგება 2 ძირითად კრედიტორზე გადახდილი ავანსებისგან, შესაბამისად 773 ათასი ლარი და 123 ათასი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017: ნული და 129 ათასი ლარი). ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში.

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	617	298
მოთხოვნები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	728
სხვა მოთხოვნები	-	5
მინუს: გაუფასურების რეზერვი*	(357)	-
სულ წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**260**	**1,031**

*გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილი ქვემოთ:

*გაუფასურების რეზერვი	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	-	5
ცვლილება წლის განმავლობაში	(357)	(5)
ნაშთი წლის ბოლოს	**(357)**	

21. ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში	3,230	827
ნაღდი ფული სალაროში	7	28
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**3,237**	**855**

ფულის ბალანსი საბანკო ანგარიშებზე შეიძლებეა დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები სადაც ჯგუფს გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

22. შეზღუდული ფული

შეზღუდული ფული მოიცავს მოკლევადიან დეპოზიტებს 3-12 თვემდე. სამშენებლო კონტრაქტების უმეტეს ნაწილში, 2,5-5 % არის საგარანტიო თანხა, რომელზეც შემსრულებელ კონმპანიას არ აქვს წვდომა გარკვეული დროის განმავლობაში. ასევე, 50-100%-მდე წინასწარ მიღებულ თანხებზე, რასაც ჯგუფი იღებს დამკვეთისგან. საპროცენტო შემოსავალმა მოკლევადიან დეპოზიტებზე 2018 წელს შეადგინა 80 ათასი ლარი (2017: 108 ათასი ლარი).

23. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 ათას ლარს (2017: 2 ლარი) რომელიც 100%-ით ეკუთვნის ფიზიკურ პირ პაატა ტრაპაიძეს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფი გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2018 წელს ჯგუფმა გასცა 309 ათასი ლარი (2017: 902 ათასი ლარი) ფულადი სახით.

2017 წელს ჯგუფში მოხდა რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ახალი, ცალკე კომპანია შპს სიარპი რეალისთეითი; შპს სიარპი რეალისთეითს გადაეცა მშობელი კომპანიის გარკვეული აქტივების მფლობელობა, საერთო ღირებულებით - 1,847 ათასი ლარი, კერძოდ:

- ძირითადი საშუალება (მიწა) – 1,102 ათასი ლარი
- ძირითადი საშუალება (მიმდინარე მშენებლობა) – 598 ათასი ლარი
- გადახდილი ავანსები - 147 ათასი ლარი

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო ვალდებულებები	751	516
გადასახდელი ხელფასი	10	38
სხვა ვალდებულებები	13	54
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**774**	**608**

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხევა პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის ჯგუფის მიერ ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ იხილეთ შენიშვნა 28.

25. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები ძირითადად შედგება სამშენებლო ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსებისგან, რომლის შესრულებაც საანგარიშგებო პერიოდში არ დაწყებულა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები ძირითადად შედგება ერთი კომპანიისგან მიღებული ავანსებისგან, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - სხვა ერთი კომპანიისგან მიღებული ავანსისგან, რომელიც 2018 წელს უკან დაბრუნდა კლიენტის მიერ პროექტის გაუქმების გამო.

26. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

ჯგუფმა გამოიყენა წინა პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადი 2018 და 2017 წლებში განაწილებული დივიდენდებისთვის. შესაბამისად, მოგების გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა ნულს (2017: ნული). ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი 2017 წლის განმავლობაში გადახდილი 320 ათასი ლარი წარმოადგენს 2016 წლის მოგების გადასახადს.

27. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

27. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საინვესტიციო ვალდებულებები

ჯგუფს არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: ნოლი)

საოპერაციო იჯარის გადახდები

მინიმალური საიჯარო გადახდები	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 წლამდე	18	-
1-დან 3 წლამდე	26	-
3-დან 5 წლამდე	2	-
სულ მინიმალური საიჯარო გადახდები	**46**	**-**

28. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	260	1,031
დაკავებული სახელშეკრულებო გარანტიები	7	1,107	2,418
ფული და ფულის ექვივალენტები	21	3,237	855
შეზღუდული ფული	22	4,647	9,327
გაცემული სესხი	16	6,242	-
სულ ფინანსური აქტივები		**15,493**	**13,631**

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	774	608
სულ ფინანსური ვალდებულებები		**774**	**608**

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიაროზა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

	წელი დასრულებული 31-დეკ-18		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	9,582	-	9,582
ევრო	356	31	325
სულ	**9,938**	**31**	**9,907**

	წელი დასრულებული 31-დეკ-17		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	8,960	-	8,960
სულ	**8,960**	**-**	**8,960**

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	წელი დასრულებული 31-დეკ-18
	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	958
ევროს 10%-ით გამყარება	33
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(958)
ევროს 10%-ით გაუფასურება	(33)

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	წელი დასრულებული 31-დეკ-17
	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	896
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(896)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-18	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**> 5 წელი**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	6,242	-	-	**6,242**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	260	-	-	**260**
ფული და ფულის ექვივალენტები	3,237	-	-	**3,237**
შეზღუდული ფული	4,647	-	-	**4,647**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(774)	-	-	**(774)**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**13,612**	**-**	**-**	**13,612**

31-დეკ-17	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**> 5 წელი**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,031	-	-	1,031
ფული და ფულის ექვივალენტები	855	-	-	855
შეზღუდული ფული	9,327	-	-	**9,327**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(608)	-	-	**(608)**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**10,605**	**-**	**-**	**10,605**

29. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

(a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი ჯგუფი და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი.

განხორციელდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	ურთიერთობის სახე	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები		**222**	**583**
შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	საერთო კონტროლის ქვეშ	-	364
სიარპი ყაზახეთი	საერთო კონტროლის ქვეშ	222	219
ავანსები		**123**	**129**
შპს ინტერნეშენელ ტიმვერ პროდუსინგ კომპანი	საერთო კონტროლის ქვეშ	123	129
გაცემული სესხები		**6,242**	**-**
შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	საერთო კონტროლის ქვეშ	6,242	-

	ურთიერთობის სახე	31-დეკ-18	31-დეკ-17
შემოსავალი		**1,552**	**526**
შპს სიარპი ვუდი	საერთო კონტროლის ქვეშ	3	2
შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	საერთო კონტროლის ქვეშ	1,549	524
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		**32**	**-**
შპს საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	საერთო კონტროლის ქვეშ	30	-
სიარპი ყაზახეთი	საერთო კონტროლის ქვეშ	2	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		**-**	**6**
შპს სიარპი ვუდი	საერთო კონტროლის ქვეშ	-	6

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	**2018**	**2017**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი	152	146

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2019 წლის 31 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2019 წლის 4 ივლისს კომპანიამ სომხეთში დაარეგისტრირა წარმომადგენლობა, რათა შეასრულოს სამშენებლო პროექტი.
- 2019 წლის 10 აპრილს შპს ქართულ საინვესტიციო ჯგუფ ენერგიაზე დამატებით გაიცა სესხი 200 ათასი დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტ“

2018 წელი

შინაარსი


ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა. 3-9
2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები 10-11
ოფისები და შეთავაზებული მომსახურება 12
განვითარების გეგმები 12-14

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.

შპს კავკასუს როუდ პროჯექტი (შემდგომში – "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია დაარსდა 2005 წლის 29 მარტს და საქმიანობას ეწევა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია პაატა ტრაპაიძე. კომპანიის გენერალური დირექტორია პაატა ტრაპაიძე, დირექტორი - ლევან ტრაპაიძე, ფინანსური დირექტორი-ნათია წიფურია.

კომპანიის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:



კომპანია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას წარმოადგენს გზების მშენებლობის სფეროში. იგი დაფუძნებიდან სულ რამდენიმე წლის მანძილზე დარგის ლიდერად გადაიქცა. ასეთი სწრაფი ზრდა მაღალკონკურენტულ ბაზარზე მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვითა და მენეჯმენტის ეფექტურობის ხარჯზეა შესაძლებელი.

კომპანიის ძირითად მართვას ახორციელებს მმართველობითი საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან:


1. პაატა ტრაპაიძე - მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე;
2. ლევან ტრაპაიძე - მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ნათია წიფურია - მმართველობითი საბჭოს წევრი

მმართველი საბჭო

განსახილველი საკითხები

1. პროექტების მოზიდვის სტრატეგიის განხილვა
2. ხარისხის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტანდარტების განხილვა
3. პროექტების ხარჯთაღრიცხვის განხილვა, მისი შეფასება, მსჯელობა და გადაწყვეტილება ტენდერებში მონაწილეობაზე
4. ტექნოლოგიური სიახლეებზე იდეების და ინიციატივების განხილვა, არგუმენტების მოსმენა სიახლეების დანერგვასთან დაკავშირებით, მსჯელობა და გადაწყვეტილება დანერგვაზე
5. პროექტის მიმდინარეობისას რესურსების ხარჯვასთან დაკავშირებით ანგარიშების მიღება, გაცნობა
6. გამოვლენილ რესურსების ზედმეტად ხარჯვაზე მსჯელობა და გადაწყვეტილება შედგომ მოქმედებებთან დაკავშირებით
7. ხარისხის კუთხით წარმოდგენილი რეპორტების განხილვა, დარღვევებზე მსჯელობა და დროულად გადაწყვეტილების მიღება
8. კომპანიის ბიუჯეტის განხილვა, კორექტირებების საჭიროებების გამოვლენა და დამტკიცება
9. ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშების განხილვა დადგენილი პერიოდულობით და ცვლილებების საჭიროებებზე შეთანხმება
10. პროექტებში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი შეფერხებების განხილვა, მსჯელობა და დროულად გადაწყვეტილებების მიღება

11. კომპანიის მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებზე შეთანხმება თითოეული სტრუქტურული ერთეულის ჭრილში
12. სტრატეგიული გეგმების შესრულებაზე ანგარიშების მოსმენა დადგენილი პერიოდულობით
13. კომპანიაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის წარმოქმნილი პრობლემების განხილვა და მათი გადაწყვეტა
14. თანამშრომელთა უკმაყოფილების მიზეზების განხილვა (არსებობის შემთხვევაში) და რეაგირების გზებზე შეთანხმება
15. ახალი კადრის აყვანის საკითხის განხილვა, მისი საჭიროების შეფასება და შეთანხმება
16. საბჭოს წევრის მხრიდან დაყენებული სხვა დამატებითი საკითხის განხილვა
17. სხვა საბჭოების უფლებამოსილების დელეგირების ზღვრების განსაზღვრა



მმართველობითი საბჭოს გარდა, კომპანიის ყოველდღიურ მართვის პროცესში ჩართულია შემდეგი სტრუქტურული ერთეული:

1. პროექტების დაგეგმვისა და მართვის საბჭო;
2. სატენდერო კომისია;
3. შესყიდვების კომისია.

პროექტების დაგეგმვისა და მართვის საბჭო

განსახილველი საკითხები

1. პროექტების მიხედვით მომზადებული გეგმა-გრაფიკის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა, არგუმენტების შეფასება, ცვლილებების საჭიროებებზე მსჯელობა და შეთანხმება
2. თუ პროექტის მშენებლობის ტექნოლოგია იცვლება ან განსხვავებული მიდგომის გამოყენებაა საჭირო, რომლის გამოცდილება არ გვქონია აქამდე, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება
3. პროექტის მიმდინარეობაზე პროექტის მენეჯერების მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა და ცვლილებების საჭიროებების შეფასება, საჭიროებისას გეგმების და ბიუჯეტის კორექტირებაზე შეთანხმება უფლებამოსილების ფარგლებში
4. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების, არასტანდარტული შემთხვევების განხილვა ვადების, რესურსების, ხარისხის ან სხვა კუთხით, რაზეც ერთეულებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა და გადაწყვეტილების მიღება
5. კონტროლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების განხილვა, რომლის გამოსწორება არ მოხდა ან რომლის წარმოქმნის საფრთხე ისევ არსებობს, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება რეაგირებაზე
6. პროექტებში შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში, სამშენებლო მასალებით მომარაგებაში, სამშენებლო ტექნიკით უზრუნველყოფაში არსებული პრობლემების, შეფერხებების განხილვა და რეაგირებაზე გადაწყვეტილების მიღება
7. პროექტის მენეჯერების მხრიდან დაყენებული სხვა პრობლემური საკითხების განხილვა, რომელთა მოგვარებაზე წინააღმდეგობა შეხვდათ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან
8. საბჭოს წევრის მხრიდან დაყენებული სხვა დამატებითი საკითხის განხილვა

მიზანი — უზრუნველყოს პროექტების რეალური გეგმების არსებობა და მისი განხორციელება ხარისხიანად და კვალიფიციურად

რეგულარობა — კვირაში ერთხელ/საჭიროებისას

ხელმძღვანელი — გენერალური დირექტორი

საბჭოს შემადგენლობა

1. გენერალური
2. დირექტორი
3. ფინანსური დირექტორი
4. პროექტის მენეჯერები და ინჟინრები
5. შესყიდვების მენეჯერი
6. საჭიროებისას მოწვეული სტუმარი

სატენდერო კომისია

განსახილველი საკითხები

1. ტენდერების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის პირველადი ვერსიის განხილვა, მსჯელობა და არგუმენტირება
2. ტენდერში ჩადებული საჭირო რესურსების ანალიზი, შემცირებაზე ან მის ცვლილებაზე მსჯელობა და ოპონირება
3. სატენდერო მასალების განხილვა და ტექნოლოგიური ინოვაციების ჩადების შესაძლებლობებზე მსჯელობა
4. ტექნოლოგიური ინოვაციების ჩადების მოსალოდნელი ეფექტების განხილვა, ხარჯების შემცირების კუთხით, ოპონირება და შეთანხმება
5. ტენდერების ხარჯთაღრიცხვის საბოლოო ვერსიის განხილვა, კვლავ ცვლილებების განხორციელება საჭიროებისას და შეთანხმება
6. სატენდერო დოკუმანტაციის დროულად და ხარისხიანად მოგროვებისთვის იდეების და წინადადებების განხილვა, მსჯელობა და შეთანხმება

მიზანი — კომპანიამ დროულად შეძლოს რაც შეიძლება მეტ საინტერესო ტენდერში მონაწილეობა

რეგულარობა — კვირაში ერთხელ/საჭიროებისას

ხელმძღვანელი — გენერალური დირექტორი

საბჭოს შემადგენლობა

1. გენერალური
2. დირექტორი
3. ფინანსური დირექტორი
4. პროექტის ხარჯთაღმრიცხვლი
5. სამუშაოების ხარისხიანი შესრულება(ინჟინრები)
6. ტექნოლოგიური ინოვაციების მუდმივი გამოვლენა/დანერგვა
7. საჭიროებისას მოწვეული სტუმარი

შესყიდვების კომისია


განსახილველი საკითხები

1. პროექტის გეგმის მიხედვით შესყიდვების გეგმის განხილვა, მისი საჭიროების რეალურად შეთანხმება წინასწარ ბაზრის კვლევის ჩატარების მიზნით
2. პროექტისთვის საჭირო შესასყიდ რესურსებთან დაკავშირებით ალტერნატიული მომწოდებლების პირობების შეფასება, განხილვა და მსჯელობა
3. წარმოდგენილი ალტერნატივებიდან კონკრეტული პროექტის პრიორიტეტის მიხედვით მომწოდებლის შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღება
4. საჭიროებისას მომწოდებლების გამოვლენაზე და ფასების კვლევაზე პასუხისმგებელი პირისთვის მოთხოვნა დამატებითი ალტერნატივების მოძიებაზე, ან კონკრეტულ მომწოდებელზე დამატებითი ინფორმაციის მოკვლევაზე
5. დაუგეგმავი შესყიდვების საჭიროების დადგომისას მიზეზების და რეალური საჭიროების განხილვა, არგუმენტების მოსმენა საკითხის გამომტანებისგან, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილების ფარგლებში
6. პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე დაუგეგმავად შეკრება და შესყიდვებზე გადაწყვეტილების მიღება

მიზანი	ხელი შეუწყოს დროულად, რაციონალურად და გამჭვირვალედ მოხდეს შესყიდვების განხორციელება
რეგულარობა	ორ კვირაში ერთხელ/საჭიროებისას
ხელმძღვანელი	დირექტორი
საბჭოს შემადგენლობა	1. დირექტორი 2. ფინანსური დირექტორი 3. შესყიდვების მენეჯერი 4. პროექტების მენეჯერი 5. საჭიროებისას მოწვეული სტუმარი

„კავკასუს როუდ პროჯექტი“ მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ კადრებზე დაყრდნობით აგრძელებს ახალი ტექნოლოგიების, მიდგომების დანერგვას და ბაზარზე ფლაგმანად რჩება. ეს კი თავის მხრივ, დადებით როლს თამაშობს გზების მშენებლობის სფეროში კონკურენციის ამაღლების და ბაზრის განვითარების კუთხით.





კომპანიის ხელმძღვანელმა დაარსების პირველივე დღეებიდან სწორედ ასე განსაზღვრა მთავარი კურსი - ინოვაციები და ეფექტური მენეჯმენტი. სწორედ ამის შედეგია განხორციელებული მასშტაბური პროექტები გზების, ხიდების, გვირაბების და აეროპორტის ასაფრენი ზოლის მშენებლობის სფეროში. „კავკასუს როუდ პროჯექტი“ იყო საქართველოს პირობებში ინოვაციური ტექნოლოგიის - ცემენტობეტონის გზატკეცილების და მაგისტრალების - ინიციატორი.


კომპანიის პარტნიორები არიან დარგის ლიდერი კომპანიები საერთაშორისო მასშტაბით:

Strabag AG (Austria)
Heilit+Woerner GmbH (Germany)
DYWIDAG BAU GmbH (Germany)
Joint - Tec International GmbH (Germany)
SSF INGENIEURE AG (Austria)
GEOIZOL (Russia)
Baugeologisches Buro Bauer


2018 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

კომპანიას დღედღეობით დასაქმებული ყავს 220 ადამიანი. თუმცა წინა წლებში დასაქმებულთა რაოდენობა ბევრად მეტი იყო. დასაქმებულთა და ასევე კომპანიის შემოსავლების შემცირება გამოიწვია სამშენებლო ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში, სადაც სამწუხაროდ ფასი უფრო მნიშვნელოვანია და გადამწყვეტ როლს თამაშობს ვიდრე ხარისხი. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულებული პროექტების ხარისხს და პროექტებში შეტანილ ინოვაციებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში:



კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში:



ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოფიციენტები:

ფინანსური კოეფიციენტები	2016	2017	2018
წმინდა მოგების მარჟა	**10%**	**13%**	**11%**
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	**0.05**	**0.12**	**0.16**

კომპანია ძირითადად ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს, რომლის ხანგრძლივობა არის 12 თვე ან მეტი. კომპანიის ძირითადი კონტრაქტორია სახელმწიფო, შესაბამისად კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში, რომლის ღირებულებაც განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ძირითადი მასალები, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად არის ისეთი მასალები, რომლის იმპორტიც ხდება ან პირდაპირ მიბმულია ლარის კურსზე, შესაბამისად კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე და ისედაც ძალიან მაღალი კონკურენციის გამო კომპანიებს ტენდერში უწევთ მონაწილეობის მიღება ძალიან დაბალ ფასად, შესაბამისად ამ ფასში შეუძლებელია სავალუტო რისკის გათვალისწინება და იმ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებსაც ბანკები გვთავაზობენ. ასეთი სავალუტო რისკები ძალიან დიდ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე. ხელშეკრულებაში ხშირად გათვალისწინებულია ავანსი, რომელიც კომპანიამ უნდა გამოიყენოს მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ 2017 წლის 1 იანვრიდან შესულმა საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებამ, რომელიც შეეხო ავანსების

დაბეგვრას, გააუარესა კომპანიების რისკი, რადგან ავანსიდან კომპანიამ უნდა გადაიხადოს დღგ. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანიებს ავანსის სანაცვლოდ, წარდგენილი აქვთ საბანკო გარანტია, რომელშიც იხდიან გარკვეულ პროცენტებს, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიებს აქვთ საპროცენტო ხარჯი ისეთ თანხაზე, რომელსაც ვერ იყენებენ.

ოფისები და შეთავაზებული მომსახურება

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“-ს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ლესელიძის 44. ამავე მისამართზე მდებარეობს კომანიის სათაო ოფისიც. სათაო ოფისში განთავსებულია კომპანიის ადმინისტრაცია და დასაქმებულია 16 თანამშრომელი.
კომპანიას ასევე აქვს მეორე ოფისი/ბაზა, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქინძმარალის 16. აქ განთავსებულია კომპანიის ძირითადი მარეტიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც დასაქმებულია 22 თანამშრომელი.
პროექტების შესაბამისად, კომპანიას ასევე აქვს მობილური ოფისები სამშენებლო ობიექტების შესაბამისად, სადაც დასაქმებულია თანამშრომლების ძირითადი რაოდენობა.

დღევანდელი მდგომარეობით კომპანია ძირითადად მუშაობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის სამშენებლო მომსახურებას:

1. ხიდების და ესტაკადების მშენებლობა;
2. გვრირაბების მშენებლობა;
3. ბეტონის გზები და ავტობანები;
4. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა;
5. ავტოსადგომები;
6. აეროპორტის ასაფრენი ზოლის მშენებლობა;
7. საბაგირო გზები;
8. შენობა/ნაგებობები და სასაწყობე შენობები.

განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია იყოს პირველი კომპანია ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული კომპლექსური ინფრასტრუქტურული პროექტებით. კომპანია უპირატესობას ანიჭებს პროექტებს, რომლებიც მოიცავს პროექტირება/მშენებლობას, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს საკუთარიო შესაძლებლობები და შემოიტანოს საქართველოში მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

კომპანიას არჩეული აქვს ექსპანსიის სტრატეგია და თავის თავს ხედავს სამი წლის შემდეგ შემდეგნაირად:

საქმიანობის მასშტაბი

სამი წლის შემდეგ კომპანიის შემოსავლები მინიმუმ 20%-ით გაზრდილი;

კომპანია გავიდა საერთაშორისო ბაზარზე და 2019-2020 წელს განახორციელებს მაშტაბური ხიდის მშენებლობის პროექტს სომხეთში.

ძირითადი სეგმენტი

კომპანია შემოსავლების ნაწილდება შემდეგნაირად:

სახელმწიფო სექტორი - 75%,

კერძო სექტორი - 25%.

ძირითადი საქმიანობის მიმართულებები, მთავარი სერვისები

კომპანია ორიენტირებულია მსხვილი პროექტების განხორციელებაზე და კონცენტრირებას აკეთებს - ხიდების, საბაგიროების, გზებისა და გვირაბების მშენებლობაზე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე;

კონკურენტული უპირატესობა

კომპანიას გამოარჩევს სხვა მსგავსი კომპანიებისგან და მისი ძლიერი მხარეებია - ინოვაციური გადაწყვეტილებები და მშენებლობის უახლესი ტექნოლოგიები, ვადაში პროექტის დასრულება, გუნდურად მუშაობის უნარი, საჭირო კონტაქტები და კონკურენტუნარიანი ფასები;

სტრატეგიული კომპეტენცია

მთავარი ცოდნა და გამოცდილება კომპანიას დაგროვილი აქვს მშენებლობის ახალი ტექნოლოგიების გამოვლენა-დანერგვის და პროექტების ხარჯთეფექტურად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“

გენერალური დირექტორი: /პ. ტრაპაიძე/

დირექტორი: /ლ. ტრაპაიძე/

ფინანსური მენეჯერი: /ნ. წიფურია/

სტრატეგიული კომპეტენცია

მთავარი ცოდნა და გამოცდილება კომპანიას დაგროვილი აქვს მშენებლობის ახალი ტექნოლოგიების გამოვლენა-დანერგვის და პროექტების ხარჯთეფექტურად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“

გენერალური დირექტორი: /პ. ტრაპაიძე/

დირექტორი: /ლ. ტრაპაიძე/

ფინანსური მენეჯერი: /ნ. წიფურია/

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 31 ივლისს. აუდიტირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 31 ივლისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 31 ივლისს. მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ. კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში გაყიდა წილი ორივე შვილობილ კომპანიაში, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ერთმანეთის იდენტურია, ასევე არსებითად არ განსხვავდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება ერთმანეთისგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება და ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად მშობელმა კომპანიამ მოამზადა მხოლოდ ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

10 აგვისტო 2019

თბილისი, საქართველო

Nexia TA

Member of Nexia International

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის” მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა პირობითი მოსაზრებით 2019 წლის 31 ივლისს. აუდიტირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 31 ივლისის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 31 ივლისს. მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ. კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში გაყიდა წილი ორივე შვილობილ კომპანიაში, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ერთმანეთის იდენტურია, ასევე არსებითად არ განსხვავდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება ერთმანეთისგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება და ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად მმობელმა კომპანიამ მოამზადა მხოლოდ ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

10 აგვისტო 2019

თბილისი, საქართველო

Closer to you